STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

№ 000880/28

08/02/2022

მოქალაქე ელეონორა ჭანიას (პ/ნ 62001046127)
იურიდიული მისამართი: ქ. სოხუმი, ტიტოვის ქუჩა, სახლი №19
ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, მუხიანის III მ/რ,
კორპუსი 15, ბინა 32
ელფოსტის მისამართი: eleonora.tchania@gmail.com

ქალბატონო ელეონორა,

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გაეცნო ელექტრონული ფოსტით შემოსულ თქვენს 2022 წლის 4 თებერვლის განცხადებას (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: №742/28; 04.02.2022), რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას პანდემიის საპასუხოდ გატარებელი ღონისძიებების ფინანსურ დანახარჯთან დაკავშირებით (სტატისტიკა, ფინანსური აღრიცხვა, სამოქმედო გეგმა და ყველა სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაცია).

პასუხად გაცნობებთ, რომ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია მოთხოვნილი ფორმით (ჯამური მაჩვენებლები) სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაცული არ არის. ასეთი ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ პირველწყაროს: შესაბამის უწყებებს და გამოითხოვოთ თქვენთვის საინტერესო დოკუმენტაცია.

დამატებით გაცნობებთ, რომ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური ატარებს რამდენიმე აუდიტს, კერძოდ:

- COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი;
- COVID-19-ის პანდემიის პირობებში სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ეფექტიანობის აუდიტი;
- COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი საკარანტინო ზონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი;
- საჯარო სექტორში ელექტრონული სერვისების უწყვეტობა.

ყველა ზემოთ აღნიშნული აუდიტი ამ ეტაპზე არის მიმდინარე და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათი შედეგები აუდიტების დასრულებამდე ვერ გახდება საჯარო.
აღნიშნული აუდიტების დასრულების შემდეგ დამტკიცებული ანგარიშები გამოქვეყნდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.sao.ge) და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის საორგანიზაციო და პროტოკოლის სამსახურის უფროსი, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
ლევან ლობჟანიძე